GOV 0 23 00038846

21/12/2023

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ თინათინ ბოკუჩავას

ქალბატონო თინათინ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, თქვენ მიერ მიმდინარე წლის 7 დეკემბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენილ №9632/3-9/23 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსზე) რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების პორტალის (https://videos.police.ge/) მონაცემების მიხედვით დაფიქსირებული ვიდეოჯარიმების რაოდენობა 2020 წლის მდგომარეობით შეადგენდა 158 ვიდეოჯარიმას; 2021 წელს - 144 - ს, 2022 წელს - 186 - ს, ხოლო 2023 წლის იანვრის თვიდან დღემდე, ფიქსირდება 287 - ვიდეოჯარიმა.
ამასთან, გაცნობებთ, რომ ვიდეოჯარიმების ანაზღაურებას უზრუნველყოფენ სამართალდამრღვევები და შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან მათი გადახდა არ ხორციელდება.

პატივისცემით,

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი
რევაზ ჯაველიძე